საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/132

11 ივლისი, 2023წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ თამაზ დარჩიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **თამაზ დარჩიძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის № 01-09/440 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (07.07.2023, ოქმი N22-20/7)) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 23 0000860371, 11.07.2023) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„არქეოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამაზ დარჩიძის** სადისერტაციო ნაშრომის -**„ბიზანტია და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ახ. წ. IV-VII საუკუნეებში" საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 21 ივლისს, 13:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„არქეოლოგიის“** დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ნანა ხახუტაიშვილი -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (**მდივანი**);

2.3. მერაბ ხალვაში -ბსუ-ს პროფესორი;

2.4. ემზარ კახიძე-ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.5. ნინო ძნელაძე-ისტორიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი;

2.6. ნარგიზ სურმანიძე- ისტორიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი;
2.7. ტარიელ ებრალიძე- ისტორიის დოქტორი (ბსუ);
2.8. ნინო ინაიშვილი- ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2.9. ირინა ვარშალომიძე -ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
2.10. ლაშა ასლანიშვილი- ისტორიის დოქტორი, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსების, არქეოლოგიისა და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი;
2.11. ირაკლი ჩავლეიშვილი- ისტორიის დოქტორი

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**